

შპს "KPMG Georgia"

ანგარიში და ფინანსური ანგარიშგება
(არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე)

2021 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის

სარჩევი

გვერდი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	3
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5– 25


შპს "KPMG Georgia"
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2021 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)


		<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>	
	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი	4	12,614,881	11,307,613
გაყიდვების თვითღირებულება	5	(9,503,222)	(8,341,584)
საერთო მოგება		3,111,659	2,966,029
სხვა შემოსავალი	6	-	58,974
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(2,385,620)	(2,603,589)
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან		726,039	421,414
ფინანსური შემოსავალი	8	186,623	405,299
ფინანსური ხარჯი	8	(199,508)	(173,891)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი		(12,885)	231,408
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		713,154	652,822
მოგების გადასახადის ხარჯი	15	(291,362)	(27,065)
მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		421,792	625,757

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია საერთო კრების მიერ 2022 წლის 30 ივნისს:

გენერალური დირექტორი

აღმასრულებელი დირექტორი


ოლეგ გომანსკი


კაბა რუხაძე

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 5 -25 გვერდებზე.

შპს "KPMG Georgia"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)

		<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>	
შენიშვნები		30 სექტემბერი 2021	30 სექტემბერი 2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
აქტივები გამოყენების უფლებით	19	1,130,659	1,747,382
ძირითადი საშუალებები	9	193,376	307,480
არამატერიალური აქტივები	10	43,024	43,966
გადახდილი ავანსები და სხვა აქტივები		22,009	22,009
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,389,068	2,120,837
მიმდინარე აქტივები			
სახელშეკრულებო აქტივი - დაუმთავრებელი სამუშაო	4	723,593	1,207,939
სავაჭრო მოთხოვნები	13	1,292,957	1,161,904
გადახდილი ავანსები და სხვა მოთხოვნები	12	69,238	81,619
საგადასახადო მოთხოვნები		217,352	240,948
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	4,709,602	3,189,674
სასესხო მოთხოვნები წევრი ფირმების მიმართ	20c	-	2,164,233
სულ მიმდინარე აქტივები		7,012,742	8,046,317
სულ აქტივები		8,401,810	10,167,154
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	10,000	10,000
გაუნაწილებელი მოგება		2,330,684	5,780,760
სულ კაპიტალი		2,340,684	5,790,760
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	19	463,065	1,207,178
მიმდინარე ვალდებულებები		463,065	1,207,178
ვალდებულებები წევრი ფირმების მიმართ	20d	-	42,518
სახელშეკრულებო ვალდებულება - კლიენტებისგან მიღებული ავანსები	4	433,693	396,130
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	19	683,530	661,201
გამოცხადებული დივიდენდები, დაუფარავი	15b	2,134,283	159,630
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	14	2,346,555	1,909,737
სულ მიმდინარე ვალდებულებები		5,598,061	3,169,216
სულ ვალდებულებები		6,061,126	4,376,394
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,401,810	10,167,154

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 5 -25 გვერდებზე.

შპს "KPMG Georgia"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2021 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)

	<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>	
	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან		
წლის მოგება	421,792	625,757
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	776,469	787,334
ცვლილება საექსპლუატაციო მოთხოვნების ანარიცხებში	(148,467)	81,221
ფინანსური შემოსავალი	(186,623)	(405,299)
ფინანსური ხარჯი	199,508	173,891
მოგების გადასახადის ხარჯი	291,362	27,065
შემოსავალი Covid ფასდაკლებიდან საიჯარო გადახდებზე	-	(58,974)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	1,354,041	1,230,995
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში	17,415	590,310
ცვლილება სახელშეკრულებო აქტივებში - დაუმთავრებელ სამუშაოსა და ვალდებულებებში, კლიენტებისგან მიღებულ ავანსებში	521,910	(65,239)
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა მოთხოვნებში	12,381	17,645
ცვლილება წევრი ფირმების მიმართ მოთხოვნებში	-	4,406
ცვლილება წევრი ფირმების მიმართ ვალდებულებებში	(42,518)	12,564
ცვლილება არაპირდაპირ გადასახადებში	23,596	(38,835)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	436,818	(91,871)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობებიდან, გადასახადის გადახდამდე	2,323,643	1,659,975
გადახდილი მოგების გადასახადი	(291,362)	(27,065)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები	2,032,281	1,632,910
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან		
წევრი ფირმებისგან აღებული სესხების დაფარვა	2,164,233	-
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(44,678)	(84,811)
მიღებული პროცენტი	186,623	84,905
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობებიდან	2,306,178	94
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობებიდან		
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(783,660)	(658,842)
გადახდილი დივიდენდები	(1,897,215)	(153,370)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,680,875)	(812,212)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	1,657,584	820,792
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(137,656)	120,258
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 ოქტომბრის (შენიშვნა 11)	3,189,674	2,248,624
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 30 სექტემბრის (შენიშვნა 11)	4,709,602	3,189,674

ფულადი ნაკადების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 5 -25 გვერდებზე

შპს "KPMG Georgia"
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
2021 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)

	<i>არა</i> <i>აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>		
	<u>სააქციო კაპიტალი</u>	<u>გაუნაწილებელი მოგება</u>	<u>სულ კაპიტალი</u>
ნაშთი 2019 წლის 1 ოქტომბერს	10,000	5,468,003	5,478,003
სულ სრული შემოსავალი წლის განმაგლობაში			
წლის მოგება	-	625,757	625,757
გამოცხადებული დივიდენდები, დაუფარავი		(159,630)	(159,630)
გამოცხადებული დივიდენდები, გადახდილი	-	(153,370)	(153,370)
ნაშთი 2020 წლის 30 სექტემბერს	10,000	5,780,760	5,790,760
ნაშთი 2020 წლის 1 ოქტომბერს	10,000	5,780,760	5,790,760
სულ სრული შემოსავალი წლის განმაგლობაში			
წლის მოგება	-	421,792	421,792
გამოცხადებული დივიდენდები, დაუფარავი		(1,974,653)	(1,974,653)
გამოცხადებული დივიდენდები, გადახდილი	-	(1,897,215)	(1,897,215)
ნაშთი 2021 წლის 30 სექტემბერს	10,000	2,330,684	2,340,684

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებთან ერთად, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ნაწილია და განთავსებულია 5 -25 გვერდებზე.

1. შესავალი

a) ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „KPMG Georgia“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც, რეგისტრირებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. კომპანია დაარსდა 2013 წლის 19 თებერვალს. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 404437695.

კომპანიის იურიდიული მისამართია: თავისუფლების მოედანი N4 (ნაკვეთი 66/4), ჯი-ემ-თი პლაზა მე-5-ე სართული, თბილისი 0105, საქართველო.

კომპანია ქართულ და მულტინაციონალურ კომპანიებს უწევს შემდეგი სახის მომსახურებებს:

- აუდიტი;
- საკონსულტაციო მომსახურება;
- საგადასახადო და იურიდიული მომსახურება.

2021 წლის 30 სექტემბრის და 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, კომპანიას ფლობენ:

- "KPMG CIS HOLDINGS LIMITED" (კვიპროსი)- 49%;
- 3 ფიზიკური პირი, თითოეული ფლობს 17%-ს - 51%.

2022 წლის ივნისიდან, "CIS HOLDINGS LIMITED"-ის (კვიპროსი) საკუთრება გადავიდა ცენტრალურ აზიასა და "Caucasus Holding Limited"-ში (ყაზახეთი).

ოპერაციები წევრ ფირმებთან დეტალურად აღწერილია 20-ე შენიშვნაში.

b) საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური და ფინანსური ბაზრის ფაქტორები, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებადი ბაზრისათვის. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი ექვემდებარებიან განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის. COVID-19 კორონავირუსის პანდემიის შედეგებმა და ომმა უკრაინასა და რუსეთს შორის 2022 წელს, კიდევ უფრო გაზარდა გაურკვეველობა ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. ბიზნეს გარემო მომავალში შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი

a) შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“-ები) სრულ შესაბამისობაში.

b) შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

c) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი („ლარი“, „GEL“), რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში. ყველა ფინანსური ინფორმაცია წარმოდგენილია ლარში, გარდა სხვაგვარად მითითებულისა.

d) შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს ისეთი მსჯელობების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობებზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისაგან.

შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში, რომელშიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკების შემუშავებისას და რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

- შენიშვნა 3 (ზ) – სახელშეკრულებო ნაშთები;
- შენიშვნა 3 (თ) – ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან.
- შენიშვნა 19 - იჯარები.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას, კომპანია შეძლებისდაგვარად იყენებს ბაზრის დაკვირვებად მონაცემებს. სამართლიანი ღირებულება ჯგუფდება სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში, შეფასების მეთოდოლოგიებში გამოყენებული ამოსავალი მონაცემების საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი) იდენტური აქტივების ან ვალდებულებებისთვის
- დონე 2: ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, გარდა კოტირებული ფასებისა, რომლებიც შეტანილია 1-ელ დონეში, და რომლებიც ემპირიულია პირდაპირ (მაგ. ფასები) ან არაპირდაპირ (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- დონე 3: ამოსავალი მონაცემები აქტივის ან ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არაემპირიული ამოსავალი მონაცემები).

თუ აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული ამოსავალი მონაცემების კატეგორიებად დაყოფა შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის ფარგლებში, მთლიანად სამართლიანი ღირებულების შეფასება სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეს მიეკუთვნება, რომელსაც მიეკუთვნება ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემები, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შენიშვნაში 17 - ფინანსური რისკის მართვა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები აღწერილია შენიშვნებში 3(ა) - 3(ლ). აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში.

ა) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ლარში, კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების განხორციელების თარიღის შესაბამისი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება კომპანიის სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით მიღებული შემოსულობა ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებულ სამუშაო ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის (კორექტირებული ეფექტური პროცენტით და გადახდებით პერიოდის განმავლობაში) და უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ამორტიზებულ ღირებულებას შორის, რომელიც კონვერტირებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება, გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც შეფასებულია ისტორიული ღირებულებით, გადაყვანილია ოპერაციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს.

„კომპანია“ თავდაპირველად ახდენს სესხებისა და მოთხოვნების და დეპოზიტების აღიარებას მათი წარმოშობის თარიღისთვის. ყველა სხვა ფინანსური აქტივის აღიარება (სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული აქტივების ჩათვლით) თავდაპირველად ხდება ვაჭრობის თარიღისთვის, როდესაც „კომპანია“ ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მხარე.

„კომპანია“ წყვეტს მისი ფინანსური აქტივის აღიარებას, როცა ვადა გასდის სახელშეკრულებო უფლებებს აქტივიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე, ან თუ ის განახორციელებს ოპერაციას, რომლითაც გადასცემს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს, ოპერაციაში, რომლითაც, არსებითად ყველა რისკისა და ფინანსური აქტივის ფლობის ანაზღაურების გადაცემა ხდება. ნებისმიერი პროცენტი გადაცემულ ფინანსურ აქტივზე, რომელსაც ქმნის ან ინარჩუნებს „კომპანია“, აღიარდება ცალკე აქტივის ან ვალდებულების სახით.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარულია და წმინდა ოდენობა წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს იურიდიული უფლება ურთიერთგადაფაროს ეს ოდენობები და მას აქვს განზრახვა მოახდინოს ანგარიშსწორება წმინდა საფუძველზე ან მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ამავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები ფინანსური აქტივების კატეგორიას განეკუთვნებიან, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა კოტირება აქტიურ ბაზარზე არ ხდება. მსგავსი აქტივები თავდაპირველად აღიარდება, როგორც სამართლიან ღირებულებას დამატებული მასთან პირდაპირ დაკავშირებული ნებისმიერი საოპერაციო ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ სესხები და მოთხოვნები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულადი სახსრების ნაშთებს, ვადიან ანაზრებს და მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის ვადით 3 თვე ან ნაკლები შემენის თარიღიდან, რომელთა სამართლიანი ღირებულებაში ცვლილებების რისკი მიჩნეულია არაარსებითად.

c) სააქციო კაპიტალი - ჩვეულებრივი აქციები

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით.

d) ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები ფასდება, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზირდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

როდესაც ძირითადი საშუალების ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება წმინდა ოდენობით, შემოსავლის ანგარიშგებაში სხვა შემოსავლის სახით.

შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლების ხარჯი აღიარდება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ მოსალოდნელია, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება, და მისი ღირებულების სანდოდ შეფასება შესაძლებელია. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მომსახურების დანახარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, მათი გაწევისთანავე.

ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის მომენტიდან, ან „კომპანიის“ შიდა ძალებით დამზადებულ აქტივთან მიმართებაში, მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის თარიღიდან. ცვეთა დაფუძნებულია აქტივის თვითღირებულებაზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი, აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ფორმას. იჯარით მიღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ გახდება, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ კომპანია მიიღებს მათზე საკუთრების უფლებას.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე და შესადარის პერიოდებში, შემდეგია:

საიჯარო გაუმჯობესებები	იჯარის ვადის მანძილზე
საოფისე აღჭურვილობა და ავეჯი	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	3 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულებები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

e) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებიც შეძენილია კომპანიის მიერ და რომელთაც აქვთ სასრული მომსახურების ვადები, ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

შემდგომი დანახარჯი აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ის ზრდის კონკრეტულ აქტივში (რომელსაც ის უკავშირდება) განივთებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. ყველა სხვა დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწევისთანავე. ამორტიზაცია აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადების მანძილზე (საშუალოდ 5 წელიწადი).

f) ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება იმ შემთხვევაში თუ, წარსული მოვლენების შედეგად, კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომლის საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი და სავარაუდოა, რომ ამ ვალდებულების დასაკმაყოფილებლად აუცილებელი იქნება კომპანიიდან ეკონომიკური სარგებელის გადინება. ანარიცხები გამოითვლება მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადასახადების გადახდამდე არსებული განაკვეთით დისკონტირებით, რაც ასახავს ფულის ღირებულების დროში მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს. დისკონტის პოზიციის დახურვა აღიარდება ფინანსური ხარჯის სახით.

გ) სახელშეკრულებო ნაშთები

სახელშეკრულებო აქტივი-დაუმთავრებელი სამუშაო, ძირითადად უკავშირდება საანგარიშგებო თარიღისთვის, კომპანიის მხრიდან კლიენტისთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მოპოვებულ უფლებას ანაზღაურების მოთხოვნაზე. სახელშეკრულებო აქტივი - დაუმთავრებელი სამუშაო, აღიარდება მოთხოვნად, როდესაც ანაზღაურების მიღების უფლება ხდება უპირობო. აღნიშნული, როგორც წესი, ხდება მაშინ, როდესაც კომპანია წარუდგენს კლიენტს ინვოისს.

სახელშეკრულებო ვალდებულება - კლიენტებისგან მიღებული ავანსები, ძირითადად უკავშირდება კლიენტებისგან მიღებულ წინასწარ ანაზღაურებას, რომელიც აღიარდება შემოსავლად გარკვეული დროის მანძილზე, როდესაც მომსახურება იქნება გაწეული კლიენტებისთვის.

h) ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავალი წარმოადგენს წლის განმავლობაში გაწეული მომსახურების ღირებულებას. კომპანია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გადასცემს კლიენტს მომსახურებაზე კონტროლს და ასრულებს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს. კლიენტებისთვის გაწეული მომსახურება კომპანიისთვის არ ქმნის ალტერნატიული მოხმარების მქონე აქტივს და ზოგადად, კომპანიას აქვს უფლება მოითხოვოს ნებისმიერ კონკრეტულ თარიღამდე გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, საანგარიშგებო თარიღისთვის პროექტის დასრულების ეტაპის პროპორციულად, სახელშეკრულებო ნაშთების სარეალიზაციო ღირებულებაში წმინდა ცვლილებების გათვალისწინებით. დასრულების ეტაპი ფასდება შესასრულებელი სამუშაოს შეფასებების საფუძველზე.

i) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს შემდეგს:

- საპროცენტო შემოსავალი გაცემულ სესხებზე, საბანკო დეპოზიტებზე;
- საპროცენტო ხარჯი ოვერდრაფტზე;
- უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

„ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან შემოსულობებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მოხმარების ვადის მიხედვით:

- ფინანსური აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე; ან
- ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე;

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის გამოთვლისას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი გამოიყენება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებაზე (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული საკრედიტო რისკით) ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებაზე. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც თავდაპირველი აღიარების შემდგომ გაუფასურდა საკრედიტო რისკით, საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული, მაშინ საპროცენტო შემოსავლის გამოთვლა უბრუნდება მთლიან საბალანსო ღირებულებაზე დათვლის მეთოდს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის გათვალისწინებით თუ სად აქვს ადგილი უცხოური ვალუტის მოძრაობას - წმინდა ამონაგების თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

j) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადს. მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა შემთხვევებისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა გაერთიანებას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

მიმდინარე გადასახადი მოიცავს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებებს, ან მოთხოვნებს წლის დასაბეგრ შემოსავალზე, ან ზარალზე, ისეთი საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც ძალაშია, ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღისათვის და წინა წლებთან მიმართებაში საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერი ცვლილების გამოყენებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც, ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წლიდან და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა საფინანსო დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა მოგვიანებით.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადადის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას, როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვრულ მოცულობაზე მეტი წარმომადგენლობითი ხარჯები. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებს გარეთ განიხილავს და მათ აღრიცხავს, როგორც მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადებს.

კ) ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები, კორექტირებები სტანდარტებში და ინტერპრეტაციები, რომლებიც არ შესულა ძალაში 2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით და არ ყოფილა გამოყენებული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას. მათი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე შეფასებულია როგორც მცირე.

4. შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ფორმირდება აუდიტორული, საგადასახადო, იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების გაწევის შედეგად.

შემოსავლის შეფასება ხდება კლიენტთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც ხდება საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემა კლიენტისთვის.

შემოსავალი წარმოადგენს წლის განმავლობაში კლიენტებისთვის გაწეული მომსახურების ღირებულებას. კომპანია გარკვეული პერიოდის განმავლობაში, გადასცემს კლიენტს მომსახურებაზე კონტროლს და ასრულებს კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს. კლიენტებისთვის გაწეული მომსახურება კომპანიისთვის არ ქმნის ალტერნატიული მოხმარების მქონე აქტივს და ზოგადად, კომპანიას აქვს უფლება მოითხოვოს ნებისმიერ კონკრეტულ თარიღამდე გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

	<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>	
	2021	2020
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული		
ხელშეკრულებებიდან	12,614,881	11,307,613
	12,614,881	11,307,613

სახელშეკრულებო ნაშთები

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე, სახელშეკრულებო აქტივებზე - დაუმთავრებელი სამუშაო და სახელშეკრულებო ვალდებულებებზე - კლიენტებისგან მიღებული ავანსები.

	<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>	
	30 სექტემბერი 2021	30 სექტემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნებში შეტანილი მოთხოვნები	1,292,957	1,161,904
სახელშეკრულებო აქტივები - დაუმთავრებელი სამუშაო	723,593	1,207,939
სახელშეკრულებო ვალდებულებები კლიენტებისგან მიღებული ავანსები	(433,693)	(396,130)

5. გაყიდვების თვითღირებულება

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე	
	2021	2020
პერსონალის ხარჯები	8,966,345	7,587,619
ქვეკონტრაქტორები	527,088	681,046
მივლინების ხარჯები, მოგზაურობა და განთავსება	9,789	72,919
	9,503,222	8,341,584

6. სხვა შემოსავალი

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე	
	2021	2020
შემოსავალი Covid19 ფასდაკლებიდან იჯარაზე	-	58,974
	-	58,974

7. ადმინისტრაციული ხარჯები

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე	
	2021	2020
ცვეთა და ამორტიზაცია	776,469	787,334
პერსონალის ხარჯები	503,257	587,526
KPMG -ის ხარჯები	431,938	438,323
ტრენინგები	187,899	149,234
კორპორატიული ღონისძიებები	177,149	54,142
დაზღვევა	83,343	66,612
მარკეტინგი და რეკლამა	77,932	63,290
კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა	65,346	83,140
იურიდიული, პერსონალის დაქირავების და სხვა		
პროფესიული ხარჯები	39,283	82,733
ოფისის იჯარა და ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები	27,540	25,705
ტელეფონი და ფაქსი	26,609	26,224
კონფერენციები და სემინარები	13,457	14,092
ავტომობილების ხარჯები	5,394	11,501
რემონტი და ტექნიკური მხარდაჭერა	4,461	15,885
უიმედო ვალების რეზერვებიდან მიღებული (აღდგენა)/ზარალი	(148,467)	81,221
სხვა	114,010	116,626
	2,385,620	2,603,589

8. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე	
	2021	2020
ფინანსური შემოსავალი		
საპროცენტო შემოსავალი ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით, შემდეგ ერთეულებზე:		
- საბანკო ნაშთები	109,682	84,905
- წვერი ფირმებისგან მისაღები თანხები	76,941	120,940
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა შემოსულობა/(ზარალი)	-	199,454
	186,623	405,299
ფინანსური ხარჯი		
საბანკო მომსახურების საფასური	(5,617)	(7,841)
დისკონტის პოზიციის დახურვა საიჯარო ვალდებულებაზე	(127,087)	(166,050)
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა (ზარალი)	(66,804)	-
	(199,508)	(173,891)
წმინდა ფინანსური (ხარჯი)/შემოსავალი	(12,885)	231,408

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	აღჭურვილობა	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე		
		ავეჯი და სხვა მატერიალური ქონება	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 ოქტომბერს	403,930	312,444	33,000	749,374
შესყიდვები	38,055	2,600	-	40,655
გასვლები	(127,386)	(4,136)	(33,000)	(164,521)
ნაშთი 2020 წლის 30 სექტემბერს	314,600	310,908	-	625,508
ნაშთი 2020 წლის 1 ოქტომბერს	314,600	310,908	-	625,508
შესყიდვები	25,689	-	-	25,689
გასვლები	(42,063)	(864)	-	(42,927)
ნაშთი 2021 წლის 30 სექტემბერს	298,226	310,044	-	608,270
ცვეთა				
ნაშთი 2019 წლის 1 ოქტომბერს	206,427	91,507	28,286	326,220
დარიცხვა წლის განმავლობაში	88,665	62,949	4,714	156,328
გასვლები	(127,385)	(4,136)	(33,000)	(164,521)
ნაშთი 2020 წლის 30 სექტემბერს	167,707	150,321	-	318,028
ნაშთი 2020 წლის 1 ოქტომბერს	167,707	150,321	-	318,028
დარიცხვა წლის განმავლობაში	77,756	62,059	-	139,815
გასვლები	(42,085)	(864)	-	(42,949)
ნაშთი 2021 წლის 30 სექტემბერს	203,378	211,516	-	414,894
საბალანსო ღირებულებები				
2020 წლის 30 სექტემბერს	146,893	160,587	-	307,480
2021 წლის 30 სექტემბერს	94,848	98,528	-	193,376

10. არამატერიალური აქტივები

	<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>	
	<u>პროგრამული უზრუნველყოფა</u>	
თვითღირებულება		
ნაშთი 2019 წლის 1 ოქტომბერს	39,547	
შესყიდვები	44,156	
გასვლა	(19,120)	
ნაშთი 2020 წლის 30 სექტემბერს	64,582	
ნაშთი 2020 წლის 1 ოქტომბერს	64,582	
შესყიდვები	18,989	
გასვლა	(5,485)	
ნაშთი 2021 წლის 30 სექტემბერს	78,086	
ამორტიზაცია		
ნაშთი 2019 წლის 1 ოქტომბერს	25,454	
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	14,282	
გასვლა	(19,120)	
ნაშთი 2020 წლის 30 სექტემბერს	20,616	
ნაშთი 2020 წლის 1 ოქტომბერს	20,616	
ამორტიზაცია წლის განმავლობაში	19,931	
გასვლა	(5,485)	
ნაშთი 2021 წლის 30 სექტემბერს	35,062	
საბალანსო ღირებულებები		
2020 წლის 30 სექტემბერს	43,966	
2021 წლის 30 სექტემბერს	43,024	

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>	
	<u>30 სექტემბერი 2021</u>	<u>30 სექტემბერი 2020</u>
საბანკო ანგარიშები		
ლარში დენომინირებული	2,759,005	674,865
აშშ დოლარში დენომინირებული	1,625,235	1,619,305
ევროში დენომინირებული	324,268	886,721
გირვანქა სტერლინგში დენომინირებული	1,094	8,395
შვეიცარულ ფრანკში დენომინირებული	-	388
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში	4,709,602	3,189,674

კომპანიაზე საპროცენტო განაკვეთის რისკის გავლენა და ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების მგრძნობელობის ანალიზი წარმოდგენილია მე-17-ე შენიშვნაში.

12. გადახდილი ავანსები და სხვა მოთხოვნები

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე	
	30 სექტემბერი 2021	30 სექტემბერი 2020
მომწოდებლებზე გაცემული ავანსები	68,702	61,421
დასაქმებულებზე გაცემული ავანსები	-	19,565
სხვა	536	633
	69,238	81,619

კომპანიაზე საკრედიტო და სავალუტო რისკების გავლენა წარმოდგენილია მე-17-ე შენიშვნაში.

13. სავაჭრო მოთხოვნები

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე	
	30 სექტემბერი 2021	30 სექტემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	1,292,957	1,161,904
	1,292,957	1,161,904

2021 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, სავაჭრო მოთხოვნები წარმოდგენილია 39,588 ლარის ოდენობით საექვო ვალების რეზერვის გამოკლებით (2020: 188,055 ლარი).

კომპანიაზე საკრედიტო და სავალუტო რისკების გავლენა წარმოდგენილია მე-17-ე შენიშვნაში.

14. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე	
	30 სექტემბერი 2021	30 სექტემბერი 2020
სავაჭრო ვალდებულებები და დარიცხვები	139,709	65,774
ვალდებულება ქვეკონტრაქტორების მიმართ	-	94,689
ხელფასები და დაკავშირებული ვალდებულებები	2,206,846	1,749,274
	2,346,555	1,909,737

კომპანიაზე სავაჭრო ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკების გავლენა წარმოდგენილია მე-17-ე შენიშვნაში.

15. კაპიტალი

a) სააქციო კაპიტალი

2021 და 2020 წლების 30 სექტემბერს კომპანიის სააქციო კაპიტალი განისაზღვრებოდა 10,000 ლარით.

b) დივიდენდები

ჩვეულებრივი აქციების მფლობელები უფლებამოსილნი არიან მიიღონ საერთო კრებაზე გამოცხადებული დივიდენდები და კომპანიის შეხვედრებზე აქვთ ხმის მიცემის უფლება - თითო ხმა თითო აქციაზე.

წესდების მიხედვით, გადაწყვეტილება დივიდენდების განაწილებაზე მიიღება საერთო კრებაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე, რაც ასევე მოიცავს დივიდენდების განაწილებას. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, დივიდენდები გაიცემა მოგების განაწილების თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს ცხრა თვისა. საერთო კრება უფლებამოსილია გააუქმოს დივიდენდების განაწილება. გაუქმების პროცესი დივიდენდების განაწილების მიღების იდენტური უნდა იყოს.

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიის გასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, როგორც წარმოდგენილია ფასს-ების შესაბამისად მომზადებულ კომპანიის კანონმდებლობით დადგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

2021 წელს, კომპანიამ 2020 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის გამოაცხადა 3,871,868 ლარის ოდენობით დივიდენდები მის მესაკუთრეებზე და გადაიხადა 1,897,215 ლარი. 291,362 ლარის ოდენობით მოგების გადასახადი აღნიშნული ოპერაციისთვის იქნა გადახდილი და აღიარდა "მოგების გადასახადის ხარჯის" სახით მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

16. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად და ბაზრის მონაწილეთა ნდობის შესანარჩუნებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის შემოსავლების და მოგების მუდმივი მონიტორინგით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმების ფორმირებით, რომლებიც ძირითადად ფინანსდება კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით. ამ ღონისძიებების გატარებით, კომპანია მისი მოგების მდგრად ზრდას ისახავს მიზნად.

წლის განმავლობაში, კომპანიის კაპიტალის მართვის მიდგომაში ცვლილება არ მომხდარა და არ არსებობდა გარედან დადგენილი კაპიტალის მოთხოვნები.

17. ფინანსური რისკის მართვა

ა) მიმოხილვა

კომპანიაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი.
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი;
- i. სავალუტო რისკი
- ii. საპროცენტო განაკვეთის რისკი

წინამდებარე შენიშვნაში წარმოდგენილია ინფორმაცია კომპანიის თითოეული ზემოაღნიშნული რისკის გავლენაზე, კომპანიის მიზნებზე და რისკების მართვის პოლიტიკებსა და პროცესებზე. დამატებითი რაოდენობრივი ახსნა-განმარტებები ასევე შეტანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის დირექტორებს საერთო პასუხისმგებლობა აქვთ კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის შექმნასა და ზედამხედველობაზე. დირექტორები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის შემუშავებასა და მონიტორინგზე.

სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით კომპანიის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „კომპანიის“ ფინანსური ზარალის რისკი, თუ კლიენტი ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ის ძირითადად წარმოიშობა სავაჭრო დებიტორული დავალიანებიდან და წევრი ფირმების მიმართ სასესხო მოთხოვნებიდან.

ფინანსური აქტივების, სახელშეკრულებო აქტივის - დაუმთავრებელი სამუშაო და "ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე" საბალანსო ღირებულებები წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს და სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული.

სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივი - დაუმთავრებელი სამუშაო

კომპანიის საკრედიტო რისკი ძირითადად განპირობებულია თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლებით. თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე ითვალისწინებს ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება მისი კლიენტთა ბაზის საკრედიტო რისკზე იქონიონ გავლენა, მათ შორის, იმ ინდუსტრიასთან ან ქვეყანასთან დაკავშირებული დეფოლტის რისკი, რომელშიც ოპერირებენ კლიენტები.

„კომპანიის“ კლიენტების უმეტესობა „კომპანიასთან“ თანამშრომლობს მრავალი წლის განმავლობაში და რომელიმე კლიენტის არსებითი ნაშთი არ ყოფილა ჩამოწერილი, ან არ დაქვემდებარებია საკრედიტო რისკით გაუფასურებას საანგარიშგებო თარიღისთვის.

შპს "KPMG Georgia"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)

კომპანია არ ითხოვს უზრუნველყოფას სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში. კომპანიას არ აქვს სავაჭრო მოთხოვნები ან სახელშეკრულებო აქტივი - დაუმთავრებელი სამუშაო, რომლისთვისაც, არ არის ზარალის რეზერვი აღიარებული გირაოს არსებობის გამო.

საანგარიშგებო თარიღებისთვის, საკრედიტო რისკი დაკავშირებული სავაჭრო მოთხოვნებთან და სახელშეკრულებო აქტივებთან - დაუმთავრებელი სამუშაო, გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით, ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში საცალო კლიენტებთან და მიჩნეულია დაბალი საკრედიტო რისკის მქონედ.

სავაჭრო მოთხოვნების მოძრაობა პერიოდის განმავლობაში

	<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>	
	30 სექტემბერი 2021	30 სექტემბერი 2020
მთლიანი სავაჭრო მოთხოვნები (არ არის საკრედიტო რისკით გაუფასურებული)	1,332,545	1 349 959
უიმედო ვალების რეზერვი	(39,588)	(188 055)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1,292,957	1 161 904

	<i>არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე</i>	
	2021	2020
უიმედო ვალების რეზერვი - საწყისი ნაშთი	188,055	111,599
ცვლილება ანარიცხებში	(148,467)	76,456
უიმედო ვალების რეზერვი - საბოლოო ნაშთი	39,588	188,055

საბანკო ნაშთები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებს, რომლებიც ინახება შემდეგი საკრედიტო რეიტინგების მქონე ქართულ ბანკებში: სს "ბაზისბანკი" B +; სს "საქართველოს ბანკი" BB-; სს "თიბისი ბანკი" BB-.

ხელმძღვანელობა არ მიიჩნევს, რომ მისი რომელიმე კონტრაქტენტი ვერ შეძლებს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ვარაუდობს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არაარსებითი საანგარიშგებო თარიღებისთვის.

c) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც კომპანიას არ შეუძლია ფინანსური ვალდებულებების შესრულება მათი დაფარვის ვადის დადგომისას. კომპანია შეძლებისდაგვარად ცდილობს ლიკვიდურობის მართვის უზრუნველყოფას, რათა ყოველთვის ჰქონდეს ვალდებულების ვადაში დაფარვის შესაძლებლობა, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ პერიოდში, კომპანიისთვის მიუღებელი დანაკარგების გაწევის ან კომპანიის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ქვემოთ წარმოდგენილია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა, სავარუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით და ურთიერთგაქვითვის ხელშეკრულებების გავლენის გამოკლებით:

შპს "KPMG Georgia"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)

2021	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	6 თვეზე ნაკლები	6-12 თვემდე	1 წელი	2 წელი
საიჯარო გადახდები	1,146,595	1,224,138	374,736	374,736	474,666	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,346,555	2,346,555	2,346,555	-	-	-
	3,493,150	3,570,693	2,721,291	374,736	474,666	-

2020	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	6 თვეზე ნაკლები	6-12 თვემდე	1 წელი	2 წელი
საიჯარო გადახდები	1,868,379	2,077,890	394,536	394,536	789,072	499,746
ვალდებულებები წვერი ფირმების მიმართ	42,518	42,518	42,518	-	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,909,737	1,909,737	1,909,737	-	-	-
	3,820,634	4,030,145	2,346,791	394,536	789,072	499,746

d) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს კომპანიის შემოსავლებზე, ან მის ხელთ არსებულ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციასთან ერთად.

სავალუტო რისკი

კომპანია ექვემდებარება სავალუტო რისკს იმ გაყიდვებზე, შესყიდვებსა და კრედიტებზე, რომლებიც ლარის გარდა სხვა ვალუტაშია დენომინირებული. ვალუტები, რომლებშიც წინამდებარე ოპერაციები არის ძირითადად დენომინირებული: აშშ დოლარი და ევრო.

სხვა, უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ ფულად აქტივებთან და ვალდებულებებთან მიმართებაში, კომპანიის პოლიტიკა მოითხოვს წმინდა რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნებას, რაც მოკლევადიანი დისბალანსის აღმოსაფხვრელად, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვს უცხოური ვალუტების შეძენას ან გაყიდვას, მიმდინარე საბაზრო კურსით.

17. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

დ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

სავალუტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიის დაქვემდებარება უცხოურ სავალუტო რისკზე იყო შემდეგი:

არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე

ლარი	აშშ დოლარში დენომინირებული 30 სექტემბერი 2021	ევროში დენომინირებული 30 სექტემბერი 2021	აშშ დოლარში დენომინირებული 30 სექტემბერი 2020	ევროში დენომინირებული 30 სექტემბერი 2020
სავაჭრო მოთხოვნები	622,134	44,146	72,276	38,618
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,625,235	324,268	1,619,305	886,721
მოთხოვნები წვერი				
ფირმების მიმართ	-	-	-	-
სასესხო მოთხოვნები				
წვერი ფირმების მიმართ	-	-	2,164,233	-
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	(463,065)	-	(1,207,178)	-
ვალდებულებები წვერი				
ფირმების მიმართ	-	-	(42,518)	-
მიმდინარე საიჯარო ვალდებულებები	(683,530)	-	(661,201)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(85,791)	-	(104,575)	-
წმინდა დაქვემდებარება	1,014,983	368,414	1,840,342	925,339

პერიოდის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ლარში	1 აშშ დოლარი 2021	1 ევრო 2021
საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსი (2021 წლის 30 სექტემბერი)	3.1228	3.6409
საშუალო კურსი 2021 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის	3.2575	3.8954
ლარში	1 აშშ დოლარი 2020	1 ევრო 2020
საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსი (2020 წლის 30 სექტემბერი)	3.2878	3.8415
საშუალო კურსი 2020 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის	3.0281	3.3916

17. ფინანსური რისკის მართვა (გაგრძელება)

დ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის კურსის 10%-იანი გამყარება შემდეგ ვალუტებთან მიმართებაში საანგარიშგებო თარიღებისთვის შეამცირებდა კაპიტალს და მოგება და ზარალს ქვემოთ ნაჩვენები ოდენობებით. ანალიზის მიზნებისთვის მიჩნეულია, რომ ყველა სხვა ცვლადი მაჩვენებელი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება. ანალიზი ჩატარებულია იგივე საფუძველზე 2020 წლისთვის.

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე			
	30 სექტემბერი 2021		30 სექტემბერი 2020	
	კაპიტალი	მოგება და ზარალი	კაპიტალი	მოგება და ზარალი
აშშ დოლარი	(101,498)	(101,498)	(184,064)	(184,064)
ევრო	(36,841)	(36,841)	(92,534)	(92,534)

საანგარიშგებო თარიღებისთვის, ზემოაღნიშნული ვალუტების მიმართ ლარის 10%-იან გაუფასურებას, ექნებოდა იგივე ოდენობის, მაგრამ საპირისპირო გავლენა ზემოაღნიშნულ ვალუტებზე, ზემოთ ნაჩვენებ თანხებთან მიმართებაში, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩებოდა.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვლილება, უპირველეს ყოვლისა, გავლენას ახდენს სესხებზე, რადგან ეს ცვლის სესხის სამართლიან ღირებულებას (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მის მომავალ ფულად ნაკადებს (სესხი ცვლადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ფორმალური პოლიტიკა იმის განსაზღვრად, თუ რამდენად უნდა იყოს კომპანია დამოკიდებული ფიქსირებულ ან ცვლად განაკვეთებზე. თუმცა, ახალი სესხების აღებისას, ხელმძღვანელობა საკუთარ მსჯელობას იყენებს იმის გადასაწყვეტად, თუ რომელი საპროცენტო განაკვეთია ხელსაყრელი, ცვლადი, თუ ფიქსირებული მისი დაფარვის ვადის გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკზე დაქვემდებარება

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის პროცენტული ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთის შემადგენლობა იყო შემდეგი:

ლარი	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე	
	30 სექტემბერი 2021	30 სექტემბერი 2020
	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტები		
ლარში დენომინირებული ფულადი		
სახსრების დეპოზიტები	2,602,093	669,030
აშშ დოლარში დენომინირებული ფულადი		
სახსრების დეპოზიტები	844,678	936,046
ევროში დენომინირებული ფულადი		
სახსრების დეპოზიტები	324,268	886,721
მცოცავი განაკვეთის მქონე ინსტრუმენტები		
სასესხო მოთხოვნები წვერი ფირმების მიმართ	-	1,972,680
სულ	3,771,039	4,464,477

კომპანია არ აღრიცხავს ფიქსირებულგანაკვეთიან ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით. შესაბამისად, საანგარიშგებო თარიღისთვის, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა მოგებაზე ან ზარალზე ან კაპიტალზე.

18. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრა

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ცვლილებები, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს რაიმე დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან გასულია სამი წელი. ამ ვითარებამ შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკები, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით მნიშვნელოვანია. ხელშეწყობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების გათვალისწინებით. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს „კომპანიის“ ინტერპრეტაციისაგან და თუ საგადასახადო ორგანომ შეძლო საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირება, მაშინ აღნიშნულმა გარემოებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19. იჯარები

კომპანია იჯარით იღებს საოფისე ფართს. საიჯარო ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წელს, მისი გახანგრძლივების შესაძლებლობით. საანგარიშგებო თარიღის შემდეგ და 2022 წლის მაისში არსებული საბაზრო პირობების გათვალისწინებით, ხელშეკრულება, 2025 წლის მაისამდე კიდევ 3 წლით იქნა გახანგრძლივებული. საიჯარო გადახდები არის ფიქსირებული და არ ექვემდებარება განხილვას. შეთანხმებული საფასური ასახავს საბაზრო ფასს.

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებშიც კომპანია მოიჯარის სახით მოქმედებს წარმოდგენილია ქვემოთ. გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი არის 8.5%.

აქტივები გამოყენების უფლებით

იჯარით აღებულ ქონებასთან დაკავშირებული აქტივი გამოყენების უფლებით წარმოდგენილია როგორც "აქტივები გამოყენების უფლებით - საიჯარო ქონება" საბალანსო მუხლის სახით.

ლარი

ნაშთი 2020 წლის 1 ოქტომბერს
 ცვთვის დარიცხვა წლის განმავლობაში (მოგება და ზარალი)
 ნაშთი 2021 წლის 30 სექტემბერს

აქტივები გამოყენების უფლებით იჯარა	
	1,747,382
	(616,723)
	1,130,659

საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი და გრძელვადიანი

იჯარით აღებულ ქონებასთან დაკავშირებული საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია როგორც "საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი და გრძელვადიანი".

მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოადგენს წლის ბოლოსთვის გამოთვლილ ნაშთებს შემდეგი 12 თვის განმავლობაში და შეადგენს 683,530 ლარს, გრძელვადიანი ნაშთები 12 თვეზე მეტი ვადისაა, შესაბამისად, იჯარების სახელშეკრულებო ვადების დადგომამდე და შეადგენს 463,065 ლარს, რაც ჯამში 1,146,595 ლარს შეადგენს.

ლარი	საიჯარო ვალდებულებები მოკლე და გრძელვადიანი
ნაშთი 2020 წლის 1 ოქტომბერს	1,868,378
საიჯარო ვალდებულებების ფარგლებში განხორციელებული გადახდები წლის განმავლობაში (ფულადი ნაკადები)	(783,660)
საიჯარო ვალდებულებები საპროცენტო ხარჯი (მოგება და ზარალი)	127,087
საიჯარო ვალდებულებები უცხოური ვალუტის გადაფასების შემოსულობა (მოგება და ზარალი)	(65,211)
ნაშთი 2021 წლის 30 სექტემბერს	1,146,595

20. ოპერაციები წევრ ფირმებთან და ნაშთები

a) კონტროლის ურთიერთობები

2017 წლის 1 ოქტომბრიდან, კომპანიის სტრუქტურა იყო შემდეგი: კომპანიის ერთადერთი მესაკუთრეა „KPMG CIS Holdings Limited“, რომელიც თავის მხრივ 9.9%-ით ფლობილია „KPMG CIS LLP“-ს მიერ და რვა ფიზიკური პირის მიერ, რომელთა საკუთრება 9.9% -დან 13.6%-მდე დიაპაზონშია. 2017 წლის 18 დეკემბრიდან 2022 წლის 8 ივნისამდე, კომპანიის სააქციო სტრუქტურა იყო შემდეგი: (i) სამი ფიზიკური პირი თანაბარი საკუთრებით, თითოეული 17% და (ii) KPMG CIS Holdings Limited (კვიპროსი) 49%. 2022 წლის 8 ივნისიდან და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის, KPMG CIS Holdings Limited -ის (კვიპროსი) აქციები გადაეცა ცენტრალურ აზიასა და კავკასუს ჰოლდინგ ლიმიტედს.

b) მოთხოვნები წევრი ფირმების მიმართ

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე			
	გარიგების ღირებულება 2021	დაუფარავი ნაშთი 30 სექტემბერი 2021	გარიგების ღირებულება 2020	დაუფარავი ნაშთი 30 სექტემბერი 2020
სააქციო საზოგადოება "KPMG"	-	-	3,134	-
	-	-	3,134	-

შპს "KPMG Georgia"
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 30 სექტემბრით დასრულებული წლისთვის
(ყველა ოდენობა წარმოდგენილია ლარში)

c) სასესხო მოთხოვნები წევრი ფირმების მიმართ

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე			
	გარიგების ღირებულება	დაუფარავი ნაშთი	გარიგების ღირებულება	დაუფარავი ნაშთი
	2021	30 სექტემბერი 2021	2020	30 სექტემბერი 2020
სასესხო მოთხოვნები წევრი ფირმების მიმართ				
სააქციო საზოგადოება "KPMG"	-	-	-	1,972,680
	-	-	-	1,972,680

d) ვალდებულებები წევრი ფირმების მიმართ

	არა აუდიტირებული/მიმოხილვის გარეშე			
	გარიგების ღირებულება	დაუფარავი ნაშთი	გარიგების ღირებულება	დაუფარავი ნაშთი
	2021	30 სექტემბერი 2021	2020	30 სექტემბერი 2020
ვალდებულებები წევრი ფირმების მიმართ				
შპს „KPMG Armenia“	-	-	5,019	40,545
სააქციო საზოგადოება "KPMG"	-	-	1,405	1,973
KPMG Limited	-	-	-	-
	-	-	6,424	42,518